

ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა
გეოგრაფია
II ტური
2021-2022 წწ


ინსტრუქცია

თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

(1) 1. ეკონომიკის რომელ დარგს მიადგა ყველაზე მეტი ზარალი „კოვიდ პანდემიის“ პირობებში?

- ა) ფარმაცევტიკას;
- ბ) ტრანსპორტს;
- გ) კავშირგაბმულობას;
- დ) კვების მრეწველობას.

(1) 2. მოცემული ინფორმაციის მიხედვით განსაზღვრეთ, რომელ რეგიონში უკავია ყველაზე მაღალი წილი დაცულ ტერიტორიებს?



- ა) აჭარაში;
- ბ) კახეთში;
- გ) სამეგრელო-ზემო სვანეთში;
- დ) სამცხე-ჯავახეთში.


საქართველოს რეგიონები	ფართობი (კმ ²)	საქართველოს რეგიონები	ფართობი (კმ ²)
გურია	2033	სამცხე-ჯავახეთი	6413
აფხაზეთი	4913	მცხეთა-მთიანეთი	5606
სამეგრელო-ზემო სვანეთი	7468	ქვემო ქართლი	6436
აჭარა	2919	შიდა ქართლი	3428
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	4600	კახეთი	11375
იმერეთი	6415		

(1) 3. როგორი წარმოშობისაა ილუსტრაციაზე ნაჩვენები რელიეფის ფორმა?





- ა) გლაციალური;
- ბ) კარსტული;
- გ) აბრაზიული;
- დ) ეოლური.

(1) 4. ჩამოთვლილთაგან, რომელი შეესაბამება ილუსტრაციაზე ნაჩვენები უკრაინის თემატური რუკის სათაურს?



- ა) ატმოსფერული ნალექების განაწილება;
- ბ) მოსახლეობის სიმჭიდროვე;
- გ) ეკონომიკური რეგიონები;
- დ) ბუნებრივი ზონები.

(1) 5. ილუსტრაციაზე ნაჩვენებ რომელ არქიპელაგზე დაილუპა ფერნანდო მაგელანი?



(1) 6. რომელი წითელყურძნისანი ვაზის ჯიშის გავრცელების მიკროზონაა დატანილი რუკაზე?



- ა) საფერავისა და ქინძმარაულის;
- ბ) ალექსანდროულისა და მუჯურეთულის;
- გ) ალადასტურისა და უსახელოურის;
- დ) თავკვერისა და იზაბელას.








➤ შესაბამისობის დადგენა - დავალება № 7-9


ინსტრუქცია

დაადგინეთ შესაბამისობა დავალებაში მოცემულ ორ ჩამონათვალს შორის. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში, თითოეულ ასოს ქვემოთ მიუწერეთ შესაბამისი ციფრი. ქულების რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

(6) 7. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხი არ მეორდება):







	ფოტო		სახელმწიფო (დროშა) სადაც ჩაისახა ეს ფესტივალი / სანახაობა
ა		1	
ბ		2	
გ		3	


2		4	
3		5	
3		6	
		7	



ა	ბ	გ	დ	ე	ვ



(6) 8. დაადგინეთ შესაბამისობა ფოტოზე აღბეჭდილ ღირსშესანიშნაობასა და ევროპის სახელმწიფოებს შორის, რომლებიც კონტურულ რუკაზე აღნიშნულია რიცხვებით (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება შესაძლებელია):





ღირსშესანიშნაობის ფოტო					
ა)	ბ)	გ)	დ)	ე)	ვ)
					
ევროპის კონტურული რუკა					







ა	ბ	გ	დ	ე	ვ

(8) 9. დაადგინე შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხი არ მეორდება):

	რეგიონის სახელწოდება		რეგიონის (კონტური)
ა	ბენილუქსი	1	
ბ	სკანდინავია	2	

ბ	მადრიზი	3	
დ	სამხრეთი აზიის	4	
ე	მაშრიცი	5	
ვ	კარიბის აუზი	6	

ზ	სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია	7	
თ	სუბსახარა	8	
		9	
		10	


ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ

➤ ინფორმაციის ანალიზი - დავალება № 10-12

ინსტრუქცია


გაანალიზეთ დავალებაში მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულების რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

(4) 10. გაანალიზეთ რუკა, რელიეფის პროფილები და უპასუხეთ კითხვებს:



მასშტაბი 1:10 000

რელიეფის პროფილები



(1) 10.1. ჩამოთვლილთაგან რომელი შეესაბამება დავალებაში მოცემული რუკის სახელწოდებას?


- ა) ფიზიკურ-გეოგრაფიული;
- ბ) ტოპოგრაფიული;
- გ) გეოლოგიური;
- დ) პოლიტიკური-ადმინისტრაციული.

(1) 10.2. ილუსტრაციაზე მოცემული რელიეფის პროფილებიდან, რუკის მიხედვით, რომელი შეესაბამება A და B წერტილებს შორის გავლებულ მონაკვეთს?

(1) 10.3. რამდენ მეტრს შეესაბამება მოცემულ რუკაზე ორ მეზობლ ჰორიზონტალს შორის სიმაღლეთა სხვაობა?

(1) 10.4. გამოთვალეთ რას უდრის ადგილზე მანძილი წყაროსა და ორმოს შორის, თუ რუკაზე შესაბამისი მონაკვეთის სიგრძე 2.5 სანტიმეტრია (აუცილებლად აჩვენეთ გამოთვლის პროცესი).

(5) 11. გააანალიზეთ ილუსტრაციები და უპასუხეთ კითხვებს:



გეიზერის წარმოქმნის სქემა




გეიზერი „ძველი ერთგული / მსახური“ (Old Faithful)

(2) 11.1. დედამიწაზე რომელ არეალში და რატომ წარმოიქმნება გეიზერები?

(1) 11.2. რა სამეურნეო გამოყენება შეიძლება ჰქონდეს გეიზერების წყალს?

(2) 11.3. დასახელეთ სახელმწიფო და ეროვნული პარკი, სადაც ერთ-ერთი ყველაზე აქტიური გეიზერების აუზი მდებარეობს და პლანეტის ნახევარზე მეტი გეიზერია თავმოყრილი.

(5) 12. მოცემულია საქართველოს სამი დასახლებული პუნქტის კლიმატური დიაგრამა. გაანალიზეთ დიაგრამები და უპასუხეთ კითხვებს.



(1) 12.1 რომელ დასახლებულ პუნქტშია ჰაერის საშუალო ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა უფრო მაღალი?

(1) 12.2. რომელ დასახლებულ პუნქტშია ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა უფრო მაღალი?

(2) 12.3. მოცემული დასახლებული პუნქტებიდან რომელია სამთო-სათხილამურო კურორტი? პასუხი დაასაბუთეთ.

(1) 12.4. დაადგინეთ შესაბამისობა A, B და C პუნქტებისთვის ნაჩვენებ კლიმატურ დიაგრამებსა და ჩამოთვლილ დასახლებებს შორის: ზუგდიდი, ბიჭვინთა და გუდაური (პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში).

A პუნქტი	
B პუნქტი	
C პუნქტი	